

ვინ უნდა იქნეს დასახელებული აფხაზეთში

(1877 წელი, გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“¹)

ახლანდელმა ომმა, სხვა მრავალ შედეგებთან ერთად, გამოიწვია ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხე მოულოდნელათ გაუდაბურდა, ვინაიდან ის მიატოვა თითქმის ყველა მისმა მკვიდრმა მცხოვრებმა. ჩვენ ვლავარაკობთ აფხაზეთსა და მისი მცხოვრებლების შესახებ, რომლებმაც დატოვეს თავიანთი სამშობლო და გადასახლდნენ თურქეთში. ექვს გარეშეა, რომ ეს გადასახლება დროებითი არ არის, არამედ სამუდამოა: აფხაზეთი ვერასდროს ვეღარ იხილავს თავის შვილებს. ეს გარემოება რიგში აყენებს საკითხს: ვინ უნდა დასახლდეს ამ მხარეში, რომელიც სამუდამოთ დატოვა მისმა მკვიდრმა მოსახლეობამ? პირველი შეხედვით, ამ საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტა ძალიან ადვილია. თითქოს ძნელი არ უნდა იყოს კოლონიზატორების მიზიდვა ასეთ კუთხეში, რომელიც სამართლიანად არის განთქმული საუკეთესო ნაყოფიერებით და ბუნების იშვიათი სიმდიდრით, სადაც ველურ მდგომარეობაში მყოფი ვენახი ზღაპრულად დიდი იზრდება და სადაც ლიმონები, ფორთოხლები და ზეთის ხეც კი, თავისუფლად ხარობს ღია ცის ქვეშ. მაგრამ ერთი გარემოება მეტად აძნელებს დაცარიელებული აფხაზეთის წარმატებით დასახლებას. ეს არის მეტად ავთვისებიანი ჰავა, რაც შედეგია ამ მხარის აღნაგობისა და მდებარეობისა.

აფხაზეთი წარმოადგენს ვიწრო სანაპირო ზოლს, რომელიც მოქცეულია კავკასიის ქედსა და შავ ზღვას შუა. ნიადაგის შედგენილობა და ზედაპირის რელიეფი ისეთია, რომ ძლიერ უწყობს ხელს მრავალრიცხოვანი ჭაობების წარმოშობას, რომლებიც წარმოადგენენ მეტად მავნებელ აორთქლებათა დაუშრეტელ წყაროს. მარტო ეს ჭაობები კმარობდა იმისათვის, რომ აქაური ჰაერი მოშხამული ყოფილიყო. მაგრამ არს სხვა, ასე ვთქვათ არაპირდაპირი მიზეზებიც, რომლებიც აძლიერებენ პირდაპირი, მთავარი მიზეზის ზეგავლენას. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ნალექების დიდ რაოდენობას აფხაზეთში. სამხრეთ-დასავლეთის ქარის მიერ მოდენილი წვიმის ღრუბლები, რომლებიც შავი ზღვის ანაორთქლსაც იწოვენ, ეშვებიან აფხაზეთში ნამდვილ ტროპიკულ თქემად. კოკისპირული წვიმები ისე ხშირია რომ მთელი თვეობით მზე სრულიად უხილავი ხდება. ამიტომ აქ ჰაერი მუდამ ძლიერ ნესტიანია და ჯანმრთელობისთვის გამანადგურებელი. მეორე მიზეზი აფხაზეთის ნახევრად ტროპიკული ტემპერატურაა, რომელიც გარდა ასტრონომიული ადგილმდგომარეობისა და ზღვის პირას მდებარეობისა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მას ჩრდილოეთის მხრივ სავსებით იცავს კავკასიის ქედი, ხოლო სამხრეთით იგი სრულიათ ღიაა თბილი ჰაერის დინებისათვის. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ აფხაზეთის მაღალ ტემპერატურაზე, საკმარისია ითქვას, რომ იქ დეკემბრის თვეშიც ხშირათ გაიგონებთ ქუხილს და დაინახავთ ელვას, ასე რომ, სწორედ რომ ვთქვათ, ჩვეულებრივი ზამთარი იქ არ იცის. ეს ნახევრად ტროპიკული ტემპერატურა თითქმის მთელ წელიწადს გრძელდება აფხაზეთში.

¹ წერილის დედანი ი.გოგებაშვილის ხელით დაწერილი 41 ფირცლის რაოდენობით სათაურით „Кем заселить Абхазию“, დაცულია კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

დიდ სინესტესთან ერთად იგი ხელს უწყობს ჭაობის მცენარეულობის და აუარებელი ფოთლების ლპობას, რომელიც მოაქვს აქაურ მდინარეებს და რუებს იმ ულრანი ტყეებიდან, რომლებიც კავკასიის მთების სამხრეთ ფერდობებს ფარავენ. ჰაერის შხამიანობა შეიძლება შეემცირებინა და მიაზმებით გაჟღენთილი ჰაერი შეიძლება გაეგრილებინა და განეახლებინა ჰაერის ძლიერ დინებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ძლიერი ქარები, რომლებიც ამიერკავკასიაში ხშირად უბერავს, აფხაზეთში არასოდეს არ იცის ისე და ისევის მისი გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებათა გამო. იმ დროსაც კი, როცა შავ ზღვაზე, ნაპირიდან რამდენიმე ვერსის მანძილზე მძვინვარებს საშინელი ქარიშხალი და იწვევს ზღვაში საშინელ დელვას, აფხაზეთში მეთვალყურის განსაცვიფრებლად, უბერავს მხოლოდ სუსტი ქარი, რომელსაც არ ძალუძს გაფანტოს ავთვისებიანი ატმოსფერო. ამ მიზეზთა ერთობლიობით აიხსნება აფხაზეთის ჰავის შხამიანობა, რომელიც წარმოშობს მომაკვდინებელ ციებ-ცხელებას, რაც ჩვენში საყოველთაოდ ცნობილია. ძნელია აფხაზეთის ციების გამანადგურებელი ძალის წარმოდგენა იმ ადამიანისთვის, ვისაც მოკლე ხნით არ უცხოვრია ამ მხარეში. ამ სენთან ვერას ხდება ქინაქინის უდიდესი დოზებიც ციება სხვადასხვა და უჩვეულო სიმპტომებში იჩენს ხოლმე თავს, ღრმად იდგამს ფესვებს ორგანიზმში, სწრაფად აუძღურებს ორგანიზმს, ადუნებს მის სასიცოცხლო ფუნქციებს, აჩენს წყალმანკს, იწვევს დამბლასა და ჩვეულებრივ მთავრდება სიკვდილით, თუ ავადმყოფმა, თავისი შემლებულობის წყალობით, დროზე ადრე დატოვა ეს მხარე და ენერგიული მკურნალობით არ იხსნა თავისი ორგანიზმი ჭაობის შხამის გამანადგურებელი მოქმედებისაგან. ისეთი ადგილები, სადაც შედარებით საღი ჰაერი იყოს, იმდენად ცოტა და უმნიშვნელოა მთელ სივრცეზე, რომ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთი მთლიანად წარმოადგენს ავთვისებიანი ციების ბუდეს, ქალაქ სოხუმშიც კი, რომელიც გაშენებულია ჰიგიენის მხრივ შედარებით უკეთეს ადგილას, სადაც, გარდა ამისა, ნიადაგი მთლიანად ამოშრობილია ხელოვნურად, ჰაერი იმდენად გაჟღენთილია ჭაობის მიაზმებით, რომ ზაფხულობით ქალაქში დარჩენილი ვერც ერთი ოჯახი ვერ არიდებს თავს ციებით საერთო დაავადებას. ჭაობის შხამისაგან მოწამვლას, ხშირად ვერ შველის ძალიან დიდი სიფრთხილე და წინდახედულობაც. ექიმების ოჯახის წევრებიც კი, მიუხედავად ყოველგვარი სიფრთხილისა, ყოველწლიურად ზაფხულობით აგარაკზე წასვლისა და საერთოდ ყველა სამედიცინო ღონისძიებათა დაცვისა, ისე ხშირად და სასტიკად ხდებიან ავად, რომ ჰავის გამოცვლისა და ამ კუთხის მიტოვების შემდეგაც საჭიროებენ მედიცინის დიდ დახმარებას, რომ სიკვდილს გადაურჩნენ.

აი რატომაა, რომ აფხაზეთში სახელმწიფო სამსახურში გამწესებული ცოლშვილიანი მოხელეები, იძულებული არიან თავისი ცოლშვილი თბილისში, ქუთაისში და სხვა ადგილებში დააბინაონ, ხოლო თვით მოსაწყენ და მარტოხელა ცხოვრებას ეწეოდნენ.

თუ მართლა აფხაზეთის ჰავა ავთვისებიანია, ბუნებრივად ისმის საკითხი, როგორ იტანენ მას თვით აფხაზები? პასუხის გაცემა ძნელი არ არის. ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმს შეუძლია უძლიერეს შხამსაც კი შეეგუოს. ადამიანის ამ თვისების წყალობით, მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე აფხაზები აკლიმატიზირებული იყვნენ თავიანთ

მხარეში, მათი ორგანიზმი შეგუებული იყო მის კლიმატურ თავისებურებებს, ჭაობის შხამს და ნაკლებად იშხამებოდნენ.

გარემომცველ ატმოსფეროსთან ხალხის ორგანიზმის ამ შეგუებისათვის ძლიერ უნდა შეეწყო ხელი შერჩევის კანონს, რომლის წყალობით ცოცხალი გადარჩნენ და შედარებით გამძლე მოდგმა წარმოშვეს აფხაზთა ორგანიზმებმა, რომლებსაც შესწევდათ ძალა ჭაობის შხამის ზემოქმედებას გამკლავებოდნენ.

მხარის კლიმატურ თვისებებთან ხალხის ორგანიზმის შეგუების ეს კანონი, გასაგებს ხდის აფხაზეთის ჰავის ატანის ფაქტს მისი მკვიდრი მაცხოვრებლების მიერ და ამავე დროს იძლევა გასაღებს სტატიის დასაწყისში დასმული საკითხების გადასაჭრელად. თუ ვიხელმძღვანელებთ ამ კანონით და გვეცოდინება ჩვენი კუთხეებისა და იქ მცხოვრები ტომების თვისებანი, ძნელი გადასაწყვეტი არ იქნება თუ ვინ არ უნდა დასახლდეს ამ მხარეში.

ჩვენი სახელმწიფოს ის მხარეები, რომლებიც ბუნებითაც და ჰავითაც მკვეთრად განსხვავდებიან აფხაზეთისაგან, ვერ მოგვემენ ვარგის კოლონიზატორებს. ასეთ ქვეყნად პირველ ყოვლისა უნდა თვით რუსეთი ჩაითვალოს. გამოცდილებამ უკვე დაამტკიცა, რომ აფხაზეთში გადმოსახლებული რუსი ოჯახები გახდნენ მსხვერპლნი იქაური ჰავისა იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი სოხუმში და ჰავის მხრივ სხვა უკეთეს ადგილებში სახლდებოდნენ. ჩვენ თვითონ ვიყავით მოწმე რამდენიმე რუსი ოჯახის სოხუმიდან რუსეთში დაბრუნებისა. აფხაზეთში გადმოსვლამ, აქ ყოფნის მოკლე დროის განმავლობაში მუდმივმა ავადმყოფობამ და რუსეთში უკანვე დაბრუნებამ შეამცირა მათი რიცხვი და მიიყვანა ეს ოჯახები გადატაკებამდე. ის რუსი ოჯახები, რომლებსაც მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ ჰქონდათ რუსეთში დაბრუნების საშუალება, წყევლიდნენ ბედს, რომელმაც ისინი გადმოისროლა ამ კუთხეში, სადაც ისინი ჯანმრთელი, ლოყაწითელი, ხალხიდან გადაიქცნენ გაყვითლებულ ჩონჩხებად. იგივე უნდა ითქვას ამიერკავკასიის დიდი ნაწილის მიმართ.

აღმოსავლეთის ქართველები, რომლებიც ცხოვრობენ სურამის ქედის აქეთა მხარეს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო აფხაზეთთან, შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე ძალიან მალე ხდებიან ჭაობის შხამის მსხვერპლნი, ამიტომ მათი აფხაზეთში ჩასახლების შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება. სომხებსაც ნაკლები უნარი აქვთ გაუძლონ აფხაზეთის ჰავას. ამით აიხსნება პირველი შეხედვის ის განსაცვიფრებელი მოვლენა, რომ სომხები, რომლებიც ასეთი ძლიერი კომერციული ნიჭით არიან დაჯილდოებულნი და ასე სწრაფად იკალათებენ ოდნავ მაინც ხელსაყრელ სავაჭრო პუნქტებში, ვერ დამკვიდრდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და იძულებული იყვნენ ამ მნიშვნელოვან მხარეში ვაჭრობა სხვა ეროვნების ვაჭრებისათვის დაეთმოთ. აი რატომ უნდა ჩაითვალოს სრულიად უსაფუძვლოდ სატახტო გაზეთში წამოყენებული აზრი დაცარიელებული აფხაზეთის ტერიტორიის დასახლების შესახებ თურქეთიდან გამოქცეული ოჯახებით. მით უმეტეს, რომ ყარსის ზეგანი, რომელიც ამ ოჯახების სამშობლოა, ყოველი მხრივ უფრო მკვეთრად განსხვავდება აფხაზეთისაგან, ვიდრე აღმოსავლეთი ამიერკავკასია.

თითქმის ამავე მიზეზით არ შეუძლიათ აფხაზეთის დასახლება დასავლეთი საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობას. გამოცდილებამ არაერთხელ დაგვანახა, რომ რაჭველები, სვანები და ზემო იმერლები შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს ბინადარნი რომ გახდნენ, ვერ გაუძლებენ ჭაობიანი ატმოსფეროს დამლუპველ მოქმედებას და დაიხოცებიან ავთვისებიანი ციებ-ცხელებით. მრავალი მაგალითიდან მივუთითებთ ერთს. სამოციანი წლების დასაწყისში 80 სვანი გაგზავნეს აფხაზეთში მილიციონერად და რა მოხდა? ორი წლის განმავლობაში აფხაზეთის ციებ-ცხელებამ ისინი უკანასკნელ კაცამდე ჩაიყვანა სამარეში.

ჩვენი რწმენით, აფხაზეთის ჰავის ატანა უმტკივნეულოდ შეუძლიათ მხოლოდ იმ ტომებს, რომლებიც მის მსგავს მხარეში ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდნენ, მაგალითად, მიწის რა საშინელი ნაკლებობაა რაჭის ოლქში, სადაც ერთი დესეტინა მიწა საარაკო ძვირად, 1600 მანეთად არის შეფასებული და სადაც ამის გამო მოსახლეობა გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება, მაინც ვერ გაბედეს შეეთავაზებინათ მათთვის აფხაზეთში ჩასახლება, თუმცა რაჭას გაცილებით მეტზე მეტი საერთო აქვს აფხაზეთთან, ვინემ სამხრეთ რუსეთის გუბერნიებს.

ნაკლებ უჭირთ აფხაზეთის ჰავის ატანა იმერლებს და გურულებს, რომელთა სამშობლო რამდენიმედ ემსგავსება აფხაზეთს ბუნებისა და ჰავის მხრივ. სამაგიეროდ მეგრელები ისე გრძნობენ თავს აფხაზეთში, როგორც საკუთარ სახლში. ეს არც გასაკვირია. სამეგრელო ერთადერთი კუთხეა ჩვენში, რომელიც ყოველმხრივ ძალიან ჰგავს აფხაზეთს. ჰაერის ტემპერატურა აქაც მაღალია, აქაც ჭარბობს შავიზღვისპირას მდებარეობით გამოწვეული ნალექები და სინესტე. ამიტომ მეგრელი ტომის ორგანიზმი სავსებით შეგუებულია ასეთ ატმოსფეროსთან.

ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ სოხუმში, ოჩამჩირეში და აფხაზეთის სხვა კუთხეში ვაჭრობა უმთავრესად მეგრელების ხელშია. ამიტომ მეგრელებს ყველაზე უფრო შეუძლიათ აფხაზეთში წარმატებით დასახლება. მიწის სივიწროვე და ნაკლებობა სამეგრელოში, რაც აიძულებს მის მცხოვრებთ, მიატოვონ სამშობლო და წავიდნენ სამუშაოდ ამიერკავკასიის სხვა ადგილებში, უეჭველად სასურველს ხდის ბევრი მეგრელისათვის აფხაზეთში გადასახლებას.

მეგრელის ორგანიზმი ყველაზე უკეთ იტანს ჭაობის ავთვისებიან ჰაერს. გარდა ამისა, მეგრელებს აქვთ კარგი დამსახლებლობისათვის სხვა თვისებებიც. სხვა ქართველი ტომების მსგავსად, ისინი დიდ სიყვარულსა და უნარს იჩენენ ნაყოფიერი შრომისადმი და, მაშასადამე, სავსებით შეძლებენ გამოიყენონ აფხაზეთის მდიდარი ბუნება და საქმიანად ისარგებლონ მისი იშვიათი ბუნებრივი სიმდიდრით: აფხაზეთის ნაყოფიერ მიწაზე მათ შეუძლიათ ფართოდ განავითარონ მიწათმოქმედება, ხელი მოჰკიდონ სატყეო მრეწველობას ტყის სიუხვის გამო, გააფართოონ მეღვინეობა, რომელიც მარჯვე ხალხის ხელში შეიძლება მათი კეთილდღეობის დაუშრეტელ წყაროდ იქცეს, ვინაიდან აქ ველური ვენახის ვაზი უამრავი და უზარმაზარი იზრდება. მეორე თვისება, რომელიც ხდის მეგრელს აფხაზეთის ჩინებულ

კოლონიზატორებად, ის არის, რომ მეგრელები დიდ ნიჭს იჩენენ სავაჭრო საქმესა და კომერციულ წამოწყებებში და ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ სხვა ქართველ ტომთა შორის.

რაკი ეს თვისება საკმაოდ აქვთ, მეგრელებს შეუძლიათ მთლიანად ისარგებლონ აფხაზეთის ზღვისპირის ხელსაყრელი პირობებით აქ სავაჭრო საქმის გასაფართოებლად. და ბოლოს, რაც შეეხება პოლიტიკურ კეთილსაიმედობას, რომელიც უეჭველად იქნება მხედველობაში მიღებული ამ მნიშვნელოვანი ზღვისპირა მხარის დასახლების დროს, მეგრელები, როგორც ყველა ტომის ქართველები, ამ მხრივ იმდენად საიმედო არიან, რომ მეტის სურვილიც კი არ შეიძლება. ერთი სიტყვით, ყველა ჩვენ ტომთა და ხალხთაგან, მხოლოდ მეგრელებს აქვთ ყველა საჭირო თვისება დაცარიელებული აფხაზეთის კოლონიზაციისათვის, რაც ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება სახელმწიფოსთვის.

II

ჩვენმა სტატიამ აფხაზეთში მეგრელების დასახლების შესახებ გამოიწვია საწინააღმდეგო პასუხი, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „კავკაზის“ 207-ე №-ში. გამოვდიოდით რა იმ თვალსაზრისიდან, რომ აფხაზეთის ჰავა უაღრესად ავთვისებიანია, რომ იგი ასწეულებს და სპობს ყველა ტომს, თუ მისი ორგანიზმი არ არის შეგუებული ჭაობის ატმოსფეროსთან, ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ამ კუთხის კოლონიზაცია არ შეიძლება არც სომხებით, და არც რუსებით ისე, რომ ჭაობის მხამისაგან მოსპობის საშიშროების ქვეშ არ დავაყენოთ ისინი, მეორე მხრივ, მივიღეთ, რა მხედველობაში მეგრელის ორგანიზმის გამძლეობის უნარი ციების წინააღმდეგ, რაც სამეგრელოს ჭაობიან ადგილსა და ციებიან ატმოსფეროსთან შეგუებით აიხსნება, მეგრელების ნიჭი და ნაყოფიერება შრომასა და ვაჭრობაში, სამეგრელოში დასამუშავებლად ვარგისი მიწების ნაკლებობა, რაც მიზეზი გახდა იქ შარშანწინ აგრარული არეულობისა და, ბოლოს, მათი თავდადება ჩვენი საერთო სამშობლოსათვის და სრული პოლიტიკური კეთილსაიმედობა, ჩვენ გამოვთქვით აზრი, რომ ყველაზე მოხერხებული, სამართლიანი და უკეთესია მიეცეთ მეგრელებს, აფხაზეთის უახლოეს მეზობლებს, უფლება ამ კუთხის კოლონიზაციისა, რომელიც მიატოვა მისი მცხოვრებლების უმეტესობამ, ასეთი შეხედულება და საკითხის ასეთნაირად გადაჭრა ძალზე არ მოეწონა ჩემს მოწინააღმდეგეს, მას შეეშინდა, რომ ეს აზრი პრაქტიკაში არ გატარებულიყო და შეეცადა თავის სტატიაში მეგრელებისთვის ყოველგვარი ნაკლი მიეწებებინა და გამოეყვანა ისინი თურქეთში გადასახლებული აფხაზების შეცვლის ყოვლადუვარგის კანდიდატებად. ამავე დროს, მას სურს შესაძლებელი გახადოს საკითხის სხვანაირად გადაჭრა და ცდილობს წარმოგვიდგინოს აფხაზეთის კლიმატური პირობები ნაკლებ საშიშად, ვიდრე ჩვენ დავასაბუთეთ, ამასთან ერთად, ის ცდილობს მიანიჭოს თავის მოსაზრებას ერთგვარი ავტორიტეტულობა, მით, რომ ვითომც თორმეტ წელიწადს ეცხოვრა აფხაზეთსა და სამეგრელოში. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს სათანადო სიცხადითა და დამაჯერებლობით დავამტკიცოთ, რომ ის ან სულ არ ცნობს სამეგრელოსა და მეგრელებს, ან თუ იცნობს, განზრახ სცხებს მათ ჩირქს, რომ სრულიად უსაფუძვლო და მცდარია მისი აზრი, ვითომც აფხაზეთის

კლიმატურ პირობების გაუმჯობესება ეტყობა. ძნელია არ დაეთანხმოს კაცი ჩვენს იმ მოსაზრებას, რომ მეგრელები, რომელთა მშობლიური კუთხე ყოველმხრივ ჰგავს აფხაზეთს, განსაკუთრებით კი კლიმატურად თითქმის იგივეა და რომელთა ორგანიზმი სავსებით შეგუებულია ჭაობის ატმოსფეროს, წარმოადგენენ იმ ტომს, რომელსაც შეუძლია წარმატებით დასახლდეს შავი ზღვის უაღრესად არაჯანსაღ სანაპიროზე და არ გახდეს ჭაობის შხამით დაავადების მსხვერპლი. მაგრამ ჩემს მოწინააღმდეგეს მიზნად დაუსახავს, რადაც არ უნდა დაუჯდეს წინაღუდგეს აფხაზეთში მეგრელების დასახლებას. იგი არა თუ იზიარებს ჩვენს უდავო შეხედულებას, არამედ აპოდიქტიურად ამტკიცებს, რომ, პირიქით მეგრელები სხვა ხალხზე უფრო ადრე ამოიხოცებიან აფხაზეთშიო.

რატომ? იმიტომო, - გვიპასუხებს იგი, - რომ მეგრელის ორგანიზმი უფრო დასუსტებულია ადგილობრივი ციების წყალობით, რომ მას უფრო ნაკლები უნარი აქვს წარმატებით ებრძოლოს აფხაზეთის ჭაობის შხამს, ვიდრე სხვა ხალხის ორგანიზმს, რომელსაც არ განუცდია ციებით დაავადება, მაგრამ ეს აბსოლუტურ უაზრობას წარმოადგენს, ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ საზოგადოებრივ მოვლენას, რომ შიმშილს, სიცივესა და სხვა გაჭირვებას, და შხამსაც კი, უფრო ადვილად იტანენ ის პირები, ვინც დიდი ხანია მიჩვეულია იმას, ვიდრე ის ორგანიზმები, რომლებსაც მსგავსი არაფერი განუცდიათ. ეს აშკარად ეწინააღმდეგება ქვეყნის კლიმატურ თავისებურებებთან ხალხის ორგანიზმის შეგუების კანონს და შერჩევის კანონსაც, რომლის მიხედვით ყოველგვარ ციებიან ადგილებში სიცოცხლეს ინარჩუნებენ და უფრო გამძლე შთამომავლობას გვაძლევენ ის აბორიგენები (მკვიდრნი), რომელთა ორგანიზმიც უფრო ნაკლებ იწამლება ჭაობის შხამით და უფრო მეტის ძალით უწევს მას წინააღმდეგობას. ავტორის დებულება, რომელიც ამას ეწინააღმდეგება, მართალი რომ იყოს, აფხაზეთის ციებას ყველაზე უფრო მეტად უნდა გაენადგურებინა თვითონ აფხაზები და უფრო ნაკლებ აფხაზეთისათვის უცხონი, გადმოსახლებულნი, ვინაიდან დროთა ვითარებაში ციების შხამისაგან დასუსტებული აფხაზები შემდგომ ხანებში უნდა დახოცილიყვნენ, რადგან ველარავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ ჭაობის მიაზმების ზეგავლენას და, ამგვარად, აფხაზეთი გაცილებით უფრო ადრე და უფრო რადიკალურად უნდა დაცარიელებულიყო, ვიდრე ეს მოხდა ახლა თურქეთის შემოსევის გამო. მაგრამ, როგორც ცნობილია, აფხაზებს არც უფიქრიათ დახოცილიყვნენ სამშობლოში და, მიუხედავად მთელი რიგი არახელსაყრელი პირობებისა და დიდი გაჭირვებისა, ისინი საკმაოდ სწრაფად მრავლდებოდნენ უკანასკნელ ხანებში, მაშინ როცა სხვა კუთხეებიდან ჩამოსულთ მუსრს ავლებდა ჭაობის შხამი.

აი რატომ არავინ არ დაიჯერებს ავტორის მტკიცებას, რომ ისეთს ციებიან ჰავასთან, როგორც აფხაზეთშია, დიდი ხნით შეჩვეული მეგრელები, უფრო ნაკლებ ამტანი იქნებიან ჭაობის შხამისა, ვიდრე იმ ადგილების მცხოვრებნი, სადაც ციება არ იცის. საერთოდ უდავო დებულებათა თვალსაზრისით იმ აშკარად არასწორ მტკიცებას ეწინააღმდეგება ის ფაქტიც, რომ მეგრელები აფხაზეთში გაცილებით იშვიათად და უფრო ნაკლებ ხდებიან ავად ციებით, ვიდრე სხვა კუთხეებიდან ჩამოსულნი, აფხაზური ციება მეგრელებში უფრო თავს იჩენს ხოლმე თითქმის ჩვეულებრივი ციების პაროქსიზმების სახით და უმეტეს შემთხვევაში

გაივლის ხოლმე თავისით, ყოველგვარი ზომების მიღების გარეშე, მაშინ როცა ჩამოსულებს უფრო მაგრად ჰკიდებს ხელს და მათი განკურნვა ენერგიული წამლობითაც კი არ ხერხდება და იწვევს ელენთის მწვავე ტკივილებს, წყალმანკსა და დამბლას. ამ ფაქტს ავტორი უარყოფს ცარიელი სიტყვებით, მაგრამ ამ საშუალებით უარყოფა ფაქტისა, რომელიც ნათელია ყველასათვის, ვისაც კი ესმის აკლიმატიზაციის ძალა და მნიშვნელობა, ადასტურებს უარმყოფელის არასაქებურ სურვილს, წინასწარაკვიატებული მიზნით თეთრი შავად წარმოგვიდგინოს. ამ შემთხვევაში ამ უარყოფის მცდარობას ყველაზე ნათლად ის მოვლენა აამკარავებს, რომ მეგრელები თვითონვე ილტვიან აფხაზეთისაკენ მაშინ, როცა სხვა ხალხის დასასახლებლად საჭიროა ხელოვნური საშუალებების გამოყენება. რასაკვირველია ეს ასე არ იქნებოდა, რომ მეგრელებმა, რომლებიც აფხაზეთს ჩინებულად იცნობენ, გამოცდილებით არ იცოდნენ, რომ აფხაზეთის ავთვისებიან ჰავას ისინი უფრო ადვილად იტანენ, ვიდრე სხვა ჩამოსახლებულნი. შემდეგ ავტორი ცდილობს გაატაროს ის აზრი, ვითომც მეგრელებს არ გააჩნიათ არც საკმაო ცოდნა და არც უნარი აფხაზეთში კულტურის შეტანის საქმეში. რომ ამჟამად მეგრელები თავს ვერ მოიწონებენ ისეთი ცოდნით, რომელიც საჭიროა აფხაზეთის სათანადო დონემდე ამაღლებისათვის. ეს ფაქტია და ჩვენ ამას სადავოდ არ ვხდით და არც ვხდით, მაგრამ ეს ნაკლი ხომ საერთოა ჩვენი ახალგაზრდა იმპერიის ყველა ტომისათვის, და თუ ეს ვალიარეთ სერიოზულ დაბრკოლებად აფხაზეთის კოლონიზაციის საქმეში, მაშინ მოგვიხდება აფხაზეთის დაუსახლებლად დატოვება, ვინაიდან ამერიკელები და ინგლისელები, რომლებსაც აქვთ საამისო საკმაო ცოდნა, ჩვენში არ მოისურვებენ გადმოსახლებას. ხოლო, რაც შეეხება ნიჭსა და გონებრივ თვისებებს, რომლებიც განსაზღვრავენ თითოეული ერის კულტურულ განვითარებას, მეგრელებს გააჩნიათ ეს იმ ზომამდე, რომ განცვიფრებაში მოჰყავთ მიუდგომელი მეთვალყურე თავისი სწრაფი საზრიანობით, იშვიათი მიხვედრილობით და ათვისების განსაცვიფრებელი ნიჭით. ასე, მაგალითად, ბოროზდინმა, რომელიც დაწვრილებით და ყოველმხრივ გაეცნო სამეგრელოს და მეგრელებს, მეტად მოსწრებულად დაახასიათა ისინი, როცა მათ ამიერკავკასიის ფრანგები უწოდა. „ძნელი წარმოსადგენია ისეთი ტომი, რომელსაც ჰქონდეს მეტი ნიჭი სწავლისა, იყოს უფრო ამთვისებელი, ვიდრე მეგრელებია, – ისინი ამიერკავკასიის ფრანგები არიან თავიანთი გულლიაობითა და ხასიათის მოქნილობით“, ამბობს ის თავის ღირსშესანიშნავ სტატიაში, სადაც იხილავს საკითხს სამეგრელოში, ბატონყმობის მდგომარეობის შესახებ.

ამის შემდეგ არ შეიძლება არ ჩავთვალოთ უსამართლოდ განაჩენი ჩემი მოწინააღმდეგისა, რომელიც ამტკიცებს, ვითომც მეგრელები უნიჭო, თითქმის აფხაზეთზე დაბლა მდგომი ტომია, და თუ, მიუხედავად თავისი ბუნებრივი ნიჭისა და იშვიათი გონებრივი თვისებებისა, მეგრელებმა ვერ მოასწრეს თავისი კულტურის განვითარება, ეს იმიტომ მოხდა, რომ საუკუნეთა მანძილზე ამას წინ ეღობებოდა დაუძლეველი მიზეზები: საშინელი ათასწლოვანი არეულობა, განუწყვეტელი ომები თურქებთან; ხოლო უმთავრესად კი, ცხოვრების დესპოტური წყობილება, გამოწვეული მეტად არახელსაყრელი ისტორიული გარემოებებით, რამაც შებოჭა სამეგრელოში ხალხური ცხოვრების ყოველგვარი განვითარება ბატონყმობის უღლიდან ხალხის განთავისუფლებამდე. უნდა ვიცოდეთ, რომ არსად და არც

ერთ ქვეყანაში არ მოჰყოლთა ბატონყმობას გლეხთა ისეთი აბსოლუტური უფლებობა და ისეთი განუსაზღვრელი თვითნებობა მემამულეების მხრივ, როგორც ამ მხარეში. შარდენი, რომელიც შესანიშნავი სიზუსტით აგვიწერს სამეგრელოს, ამბობს: „მაღალ კლასს აქვს უფლება თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და ქონებაზე, როგორც მოესურვება, ისე ექცევა მათ, ართმევს ცოლებს, ბავშვებს, ყიდის მათ და იყენებს ყველაფერში, როგორც მოეპრიანება“. ლიტვინოვი, რომელიც მიმდინარე საუკუნის დასაწყისში იყო სამეგრელოს მმართველად, გვიხატავს მეგრულ გლეხებს, როგორც უფლებააყრილ და დაჩაგრულ მონებს თავიანთი მრავალრიცხოვანი დესპოტ-მემამულეებისა, რომლებიც ამ კუთხის საუბედუროდ ამავე დროს წარმოადგენენ მიწათმოქმედ და სამხედრო არისტოკრატias. სამეგრელოს გლეხები ისეთსავე მდგომარეობაში არიან, როგორც ზანგები ამერიკელი პლანტატორების ხელში.

ასეთი დამონებისა და მკაცრი წყობილების გამო უფრო ნაკლებ ნიჭიერი, ნაკლებ ამტანი და უფრო ნაკლებ მოქნილი ხალხი უნდა გადაგვარებულიყო და დაბრუნებოდა პირველყოფილ ველურობას; მაგრამ მეგრელებმა არა თუ თავიდან აიცილეს ასეთი დაქვეითება, არამედ შესძლეს არ გამოკლებოდნენ ცოტად თუ ბევრად კულტურულ ტომთა რიცხვს და ამით დაამტკიცეს თავიანთი სასიცოცხლო ძალა, ჩინებული გონებრივი თვისებები და ზნეობრივი სიმტკიცე, ავტორი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო მეგრელოფობისაგან, უარყოფს ამას, არ სცნობს სამეგრელოს კულტურულობას. მაგრამ მის შეხედულებათა დაწვრილებითი განხილვა დაგვაწმუნებს, რომ ის ძალზე მცდარად მსჯელობს და მეტად უსამართლოა მეგრელების მიმართ. ამ საკითხს დაწვრილებით მით უფრო ხალისით განვიხილავთ, რომ გვეძლევა შემთხვევა რამდენიმედ მაინც გავაცნოთ მკითხველებს თითქმის უცნობი, მაგრამ უაღრესად საინტერესო მხარე. „რას ვხედავთ სამეგრელოში“? კითხულობს ჩემი მოკამათე და გვიპასუხებს: „ღომისა და სიმინდი ნათესებს, მინდვრის დამუშავების პირველყოფილ წესს, წარღვნისდროინდელ მიწის გადასამუშავებელ იარაღებს, პირველყოფილ ბაღებსა და პატრიარქალურ ფაცხებს (მოწნული ქოხი), საცხოვრებლად შესაფერი სახლების მაგიერ“. „მეგრელების შრომისმოყვარეობა – განაგრძობს ის – იმაზე შორს ვერ მიდის, რომ შექმნას მხოლოდ ის, რაც უფრო აუცილებელია მის მინიმალურ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, ხოლო დანარჩენ დროს ის უქმად ატარებს“. ამგვარად, მეგრელებს ბრალდებით სოფლის მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების ჩამორჩენა, უदारდელობა, ზარმაცობა და უმოძრაობა. მაგრამ ჩვენი ავტორი, ჯერ ერთი, ივიწყებს იმ გარემოებას, რომ სოფლის მეურნეობის მხრივ ჩამორჩენილია საერთოდ მთელი ჩვენი დიდი სამშობლო, სადაც არ მოიპოვება არც ერთი ხალხი, რომ შეეძლოს თავი მოიწონოს მიწათმოქმედების და მებაღეობის რაციონალური დაყენებით; მეორე, იგი აჭარბებს, როცა ლაპარაკობს სამეგრელოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობაზე, რომელშიც ბევრია პრაქტიკულად გამართლებული და მიზანშეწონილი; და, ბოლოს, მესამე, მეტად უსამართლოდ მსჯელობს, როცა მეგრელებს უწოდებს ზარმაცებს. მართალია, სამეგრელოში მთავარი კულტურებია სიმინდი და ღომი, რომელთა მოყვანას უმთავრესი ყურადღება ექცევა. მაგრამ მერე რა? ჩვენს ოპონენტს, ჩანს, ეს მიაჩნია იმის საბუთად, რომ მეგრელებისათვის ჯერ კიდევ ადრეა ხელი მოჰკიდონ ხორბლის მოყვანას, მაგრამ ეს სრული უაზრობაა. ხორბალი არ მოჰყავთ სამეგრელოში, ან, უფრო სწორად

რომ ვთქვით, მოჰყავთ ძალიან ცოტა არა იმიტომ, რომ არ სურთ, ან არ შეუძლიათ მისი მოყვანა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ნიადაგის დიდი სინესტისა და ჰაერის ნალექიანობის გამო ხორბალი არ იძლევა მოსავალს: უმეტეს შემთხვევაში მარცვლები არ მწიფდება, ან თუ დამწიფდა, მალე ფუჭდება და მათი დაცვა ძნელია, ვინაიდან მარცვალში მალე ჩნდებიან მატლები, შეჭამენ მათ და შემდეგ გამოფრინდებიან ხოლმე პეპლების სახით. რომ ეს გადაულახავი დაბრკოლება არა, ხორბლის მოყვანა სამეგრელოში დიდი ხანია მიიღებდა ფართო ხასიათს, ვინაიდან მის მცხოვრებლებს აქვთ საამისო ცოდნაც და საკმაო უნარიც. გარდა ამისა, ჩვენ არ გვესმის, რატომ უნდა ჩაითვალოს სიმინდის მოყვანა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენად? ხომ არავის მოუვა აზრად ჩამორჩენილად ჩათვალოს ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთი შტატი იმის გამო, რომ იქ სიმინდის კულტურა სოფლის მეურნეობაში დიდ როლს ასრულებს. თუ ჩვენი ოპონენტი ფიქრობს, რომ მეგრელები იმიტომ აძლევენ უპირატესობას სიმინდს, რომ მისი მოყვანა უხვად უნაზღაურებს სოფლის მეურნეს გაწეულ უმნიშვნელო შრომას და შესაძლებლობას აძლევს მას იყოს უსაქმოდ, იგი ღრმად ცდება. სიმინდის მოყვანა სამეგრელოში, ადგილობრივი პირობების გამო, მოითხოვს იმდენად დიდ შრომას, და ისეთ დაბრკოლებებს ქმნის, რომ სხვა უფრო ნაკლებ შრომისმოყვარე და არაბევრითი ხალხი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა. მაგრამ მეგრელები ადვილად ერევიან ამ დაბრკოლებებს თავისი გამრჯევი ხასიათისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ამხანაგური წესით შესრულების წყალობით და ღებულობენ სიმინდის ისეთ მოსავალს, რომ არა თუ მარტო თავიანთ თავს უზრუნველყოფენ წლების განმავლობაში, არამედ რამდენიმე ასე ათასი მანეთის ღირებულების სიმინდს გზავნიან საზღვარგარეთ ფოთის ნავსადგურიდან. ვინაიდან სიმინდის მოყვანის წესი გვაცნობს სამეგრელოში მიწათმოქმედების სიმძნელეს და გვისურათებს მეგრელების შრომისმოყვარეობას და ურთიერთ დახმარებისთვის მზადყოფნას, ამიტომ ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ სიტყვებს ბოროზდინის ზემოთ მოხსენებული სტატიიდან: „სიმინდის მოყვანა - ამბობს ის - სამეგრელოში გაცილებით ძნელია, ვიდრე ხორბლისა. დასათესი მიწა იხვნება და იფარცხება ღრმად და სწორ კვლებად, რომლებიც ფლავენ თესლს, მაგრამ მთავარია სიმინდის გამარგვლა, მისი განთავისუფლება სარეველა ბალახებისაგან. ეს პროცესი მართლაც ძალიან რთულია: მეგრელებისათვის ეს ჩვენი რუსული ალოობაა. აქ ადამიანი თავის ლუკმაპურს შოულობს სასტიკი ბრძოლით სარეველა ბალახებთან, რომლებიც ცდილობენ ჩაახშონ მთელი დათესილი ფართობი, ამ სახის სამუშაო წელიწადში სამჯერ უნდა განმეორდეს, რომ იხსნან სიმინდი ამ მტრისგან და მისცენ მას ზრდისა და განვითარების საშუალება. მარტოხელა ოჯახისათვის ამ რთული სამუშაოს შესრულება ძნელი იქნებოდა, რომ არ არსებობდეს მშვენიერი, განსაკუთრებული ჩვეულება; სიმინდის თესვისა და გათოხნის დროს მეგრელი მეზობლები ერთმანეთს დიდი ხალისით ეხმარებიან.

საინტერესოა გავეცნოთ ნადობას, ასე ეწოდება მეგრულად ამხანაგური დახმარების ამ წესს. ოცი კაცი თოხებით ხელში ერთად მღერის და ისეთი გატაცებით მუშაობს, რომ იმ წუთს მათთვის არაფერი არ არსებობს ამ საქმის გარდა და მხოლოდ მცხუნვარე მზე აიძულებს მათ ძალაუნებურად შეისვენონ ხოლმე, მცირე ხნით. მათ ახლოს მინდორში დგას დიასახლისი,

რომელსაც პატარა გოგონა ან პატარა ვაჟი ახლავს თან, ხელში თითისტარი უჭირავს და აბრეშუმის ძაფს გრეხს და მორგვზე ახვევს. გვერდით უდგას წყლით და ღვინით სავსე დოქები მშრომელთა წყურვილის მოსაკლავად. შესვენების დროს დიასახლისი მხიარულად ესაუბრება მათ, სთხოვს ძალ-ღონე მოიკრიფონ და ჰპირდება საღამოსთვის დიდებულ მასპინძლობას. ასე გადის დამქანცველი დღე, ხოლო ნაშუადღევს დიასახლისო ბრუნდება შინ, რომ ძვირფას სტუმრებს დაუხვდეს და მალე მხიარული სიმღერა აუწყებს მათ მიახლოებას. და მართლაც დიდებული ვახშამი იმართება. „სიმინდი - ამბობს ის შემდეგ - დიდი რაოდენობით გააქვთ მეზობელ ქვეყნებში: ოფიციალური ცნობების მიხედვით 1862 წელს ფოთის ნავსადგურიდან გაიტანეს საზღვარგარეთ 500 ათსი მანეთის სიმინდი.“ ამჟამად კი, გლეხების განთვისუფლების შემდეგ, გატანილი სიმინდის რაოდენობა, სულ მცირე, უნდა გაორკეცებულიყო. ჩვენი ოპონენტი, რასაკვირველია, უკიჟინებს მეგრელებს მანქანების მაგიერ სიმინდის თოხით გამარგვლას, მაგრამ ეს გარემოება მათ გაამტყუნებდა იმ შემთხვევაში, რომ მეგრელები ცხოვრობდნენ ამერიკელებს შორის და არ შეადგენდნენ იმ სახელმწიფოს ნაწილს, სადაც მანქანების ხმარება მხოლოდ ახლა შემოდის. რაც შეეხება სამიწათმოქმედო იარაღებს, ისინი მართლაც სადა და უბრალონი არიან, მაგრამ მიზანდასახულობით და მოხმარების სიმსუბუქით, ისინი რუსულ სამიწათმოქმედო იარაღებს არ ჩამოუვარდებიან. სტატის ავტორი მეგრელების ბაღებს პირველყოფილს უწოდებს, ხოლო თუ რატომ მონათლა ისინი ასეთი სახელით, ამის შესახებ არაფერს ამბობს. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მას ასეთი შეხედულება შეექმნა, როგორც სხვა ბევრ ზერელე მეთვალყურეს, სამეგრელოში ვაზების თავისებური ხერხით გაშენების გამო. საქმე იმაშია, რომ ამ კუთხეში ვაზს არ სხვლავენ და არ აკრავენ ჭიგოებზე, როგორც სხვა ქვეყნებში, არამედ ვაზები აქ მიჰყვება ხეს მთელ სიმაღლეზე ასე, რომ ვაზნარით მდიდარი სამეგრელო წარმოადგენს ვენახის ვაზების ხშირ ბაღებს, რომელიც გაჭიმულია ერთი ხიდან მეორემდე და აღწევს მათ წვეროებს. ვინც არ იცნობს ამ კუთხის ხალხის მიერ ვენახის გაშენების ამ ხერხს, ის ამ გარემოებას მეგრელების სიზარმაცეს და უდარდებლობას აწერს, თითქოს მათ არ სურთ გასწიონ შრომა ნამდვილი ვენახის ბაღების გასაშენებლად და მათ ტოვებენ თითქმის ველურ მდგომარეობაში. მაგრამ ეს უხეში შეცდომაა. ამ ჭაობიან მხარეში ხეებზე გაშენებული ვაზი უკეთეს ღვინოს იძლევა ვიდრე სასხლავი ან ასაკვრელი ვაზი, რადგანაც ნიადაგი აქ უფრო ნესტიანია და რაც უფრო მაღლა იქნება ყურძნის მტევნები, მით უკეთესად მწიფდება, მით მეტად მშრალია და მით ნაკლებ ღვება. ამგვარად ის რაც, ბევრ ადამიანს სიზარმაცისა და უდარდებლობის შედეგად მოეჩვენება სინამდვილეში, თუ საქმეს ახლოს გავცნობით წარმოადგენს გონივრული გამოცდილებისა და ბუნებრივ თავისებურებათა საღი გაგების შედეგს. ასეთივე უმეცარი საყვედურები გაისმის მეგრული ღვინოების დამზადების წესის შესახებაც. იმ წესისა, რომელიც ბევრს მიაჩნია მეგრელების მიუხვედრელობის, მოუხერხებლობის და უმოძრაობის დამამტკიცებელ საბუთად. მაგრამ მიუხედავად ნიადაგის ასეთი სინესტისა და ჰაერის ნალექიანობისა, რაც აქაური ყურძნის დიდ წყლიანობას იწვევს, სამეგრელოს ბევრ ადგილას მშვენიერი ღვინო დგება ოსტატური დაყენების წყალობით. აი რა სიტყვებით ახასიათებს ბოროზდინი, როცა ეხება სამეგრელოს მეღვინეობას, უმეცარი ადამიანების ამ საყვედურებს, რომელთაც შეუმოწმებლად სხვებიც იმეორებენ და აგრეთვე

მეგრული ღვინის ხარისხს: „ჩვენ პირადად გაგვიგონია ბევრი გაკიცხვა კავკასიაში ნამყოფ მეღვინე ავანტურისტებისაგან ადგილობრივი ხერხით ღვინის დაყენებისა, მაშინ როცა თვითონ ამ ვაჭბატონებმა, მიუხედავად მთავრობის მხრივ ენერგიული ხელშეწყობისა, ვერ შეძლეს ამ ღვინოების მსგავსი ღვინის დაყენება. სამეგრელოს ზოგიერთ ადგილას, განსაკუთრებით ოჯალეშის ღვინო მშვენიერი გემოსია და აკმაყოფილებს კარგი ღვინის მოთხოვნას. - ე.ი. მაგარია, უმჯობესდება ბოთლებში გადასხმით, კარგად ინახება ქვევრებში და ოდნავადაც არ ფუჭდება შორს გადატანის დროს. 1849 წელს მთავარი დავით დადიანი მოემზადა პეტერბურგში წასასვლელად და წინასწარ გაგზავნა იქ ყუთებით 600 ბოთლი ოჯალეშის ღვინო. მისი გამგზავრება აღარ შედგა და გაგზავნილი ღვინო უკანვე ჩამოიტანეს თბილისში და აღმოჩნდა რომ ღვინო არათუ გაფუჭებულიყო, არამედ უფრო გაუმჯობესებულიყო. ბევრ ნაცნობ მემამულეს და პირადად ჩვენც არა ერთხელ დაგვიღვია მისი სარდაფიდან ამოტანილი ოჯალეშის ღვინო და ამ ღვინოზე უკეთესი ამიერკავკასიაში არ გვეგულებოდა. თავისი გემოთი ის გვაგონებს ორ ევროპულ ღვინოს: ბურგუნდისას და პორტვინს. ღვინის ფასი ძალიან მცირეა: ბოთლი ღვინო 7 კაპიკად გვიყიდია და, მართლაც, ზედ ოქროსფრად მოვარაყებული „იარლიყი“ რომ დავაკრათ უცხოური წარწერით, ჩვენს ვრცელ რუსეთში მას ბურგუნდის ღვინოდ ჩაითვლიდნენ და გაიყიდებოდა არანაკლებ 2 მანეთისა ვერცხლით“. იმის უდავო საბუთს, რომ მევენახეობა სამეგრელოში შორს არის პირველყოფილი მდგომარეობისგან ის ფაქტიც წარმოადგენს, რომ ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილებში ვენახების გამშენებლები და არენდატორები არიან მეგრელები, რომელნიც სამართლიანად ითვლებიან გამოცდილ მევენახეებად. ხოლო რაც შეეხება ჩემი მოწინააღმდეგის მტკიცებას, რომ მეგრელები ცხოვრობენ მოწნულ ქოხებში და ამით მათი თითქმის პირველყოფილი მდგომარეობა მტკიცდებაო, ეს ოდნავადაც არ შეეფერება სიმართლეს, მან ალბათ აურია და მეგრელებს მიაწერა ის რაც აფხაზეთში უნახავს. მართლაც აფხაზეთი ბინების მოწყობილობაში ვერ გაცილებიან მოწნულ ქოხებს. მეგრელები კი, დიდი ხანია აშენებენ თავისებურ ხის სახლებს, რომლებიც სიკვხტავით ვერ გამოირჩევიან, მაგრამ მეტად მოხერხებული და მიზანშეწონილი არიან. ეს სახლები მშვენივრად იცავენ თავიანთ პატრონებს თითქმის ათი თვის სიცხისგან და არ წარმოადგენენ სინესტის ბუდეს, როგორც ქვის შენობები ყველა ჭაობიან ადგილას. ხალხი რომელიც ლაპარაკობს ამ ხის სახლების პირველყოფილების შესახებ, ალბათ გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ რუსული სახლი აქ უფრო უკეთესი და გამოსადეგი იქნებოდა, მათ ალბათ ვერ შეუგვნიათ ის ელემენტარული ამბავი, რომ ისეთი სახლები, რომლებიც მოსახლეობას რვათვიანი ზამთრის სიცივისგან დაცვას ემსახურებიან, სრულიათ არ გამოდგება იმ კუთხისათვის, სადაც ზაფხული ათ თვეზე გრძელდება. საერთოდ ის თვისება, რომ შენი საკუთარი კარგად და გონივრულად მიგაჩნდეს, ხოლო სხვისი - ცუდად და სულელულად, და არ გესმოდეს, რომ ყველაფერი კარგია მხოლოდ თავის ადგილას, საგრძნობლად იჩენს თავს ეს ჩვენში იმ ადამიანებს შორისაც, რომლებსაც აქვთ ინტელიგენტობის პრეტენზია.

როცა ლაპარაკობს სოფლის მეურნეობის პირველყოფილი მდგომარეობის შესახებ სამეგრელოში, ჩვენი ოპონენტი ისეთ აზრსაც კი გამოთქვამს, ვითომ იქ არ შეგვიძლია

მივუთითოთ მრეწველობის ისეთ დარგზე, რომელიც არ განისაზღვრებოდეს მოსახლეობის დაბალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით. მაგრამ არც ეს არის მართალი. იქაური მრეწველობა სრულიადაც არ ამოიწურება მარტო მიწათმოქმედებითა და მებაღეობით. სამეგრელოში ჩვენც მცირე რაოდენობით როდი ვხვდებით აგრეთვე მეაბრეშუმეობას, რასაც ეწევიან მხოლოდ კულტურული ტომები. მრეწველობის ეს მეტად მნიშვნელოვანი და უაღრესად ძვირფასი დარგი სწრაფად და წარმატებით განვითარდა ორმოცდაათიან წლებში და წარმოშვა სამი ფილატური, რომელთაგან ერთი ეკუთვნის გლეხთა საზოგადოებას და რომელშიც მუშაობენ მეგრელი ქალები ფრანგი ქალების უნართა და სიმარჯვით. მეგრული აბრეშუმი იმდენად კარგი ხარისხის აღმოჩნდა რომ მარსელის ბაზარზე 380 მანეთად ფასობდა ვერცხლით. ხოლო აქ დამზადებული მთელი აბრეშუმის საერთო ღირებულება 600 ათას მანეთს აღწევდა ვერცხლით. აბრეშუმის მოსავლის ერთი მესამედი მოსახლეობის ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილებას ხმარდებოდა, ხოლო ორი მესამედი გაჰქონდათ საზღვარგარეთ, უმთავრესად ალჟირსა და ეგვიპტეში. სამწუხაროდ აბრეშუმის ჭიის დაავადებამ დიდი ზიანი მიაყენა ამ წარმოებას და მნიშვნელოვნად შეამცირა აბრეშუმის მოსავალი, მაგრამ დაავადების თავიდან აცილების შემდეგ, მრეწველობის ეს დარგი ფართოდ განვითარდება და გადაიქცევა ხალხის კეთილდღეობის წყაროდ, ვინაიდან ამას ხელს უწყობს მეგრელების გამოცდილება და აბრეშუმის წარმოების ცოდნა. თუ რამდენად ფხიზლად ადევნებენ თვალს მეგრელები დროით შეცვლილ მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობის დარგში, რა სწრაფად და ამასთან რა წარმატებით ჰკიდებენ ხელს შრომის ახალ დარგებს, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი, ამერიკის შინაგანი ომის დროს, როგორც ცნობილია, ბამბა მეტად გაძვირდა და ევროპის ბამბის ქსოვილების მანუფაქტურებმა, რომლებიც მანამდე ჩრდილო ამერიკის სამხრეთ შტატებიდან იღებდნენ, ბამბა სთხოვეს სხვა ქვეყნებს. მეგრელებმა, რომ გაიგეს ეს ფიცხლავ მოჰკიდეს ხელი ბამბის მოყვანა, რომელიც მალე იქცა გატანის მნიშვნელოვან საგნად და რაც ყველაზე უფრო გასაკვირია ამ ახალ მეურნეთა მოყვანილი ბამბა, ისეთი კარგი ხარისხისა იყო, რომ ფუთი ადგილზევე იყიდებოდა 10-12 მანეთად მაშინ, როდესაც ერევნის ბამბა ამავე დროს ფასობდა არაუმეტეს 5 მანეთისა. ასეთსავე უნარს აჩენენ მეგრელები სავაჭრო მრეწველობის დარგშიც. ჩვენმა მოწინააღმდეგე ავტორმა ვერ უარყო მეგრელების ნიჭი კომერციულ წარმოებაში, მაგრამ შეეცადა ეს თვისება მიეჩქმალა და მეგრელებს წვრილვაჭრები და ჩარჩები უწოდა. მაგრამ კუთხეს, რომელმაც საუკუნეების მანძილზე არ იცოდა, რას ნიშნავდა საკუთრების უზრუნველყოფა, რომელსაც ყოველი მხრიდან განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ, რომელიც ხშირად წარმოადგენდა შინაური ომის ასპარეზს და მხოლოდ ახლახან მოიპოვა მშვიდობა რუსეთის მფარველობის ქვეშ, არ შეეძლო ერთბაშად დიდი მასშტაბით დაეწყო ვაჭრობა და დაეხანდებია დიდი კაპიტალი. თუ ასეთმა კუთხემ მშვიდობიანი ცხოვრების რამდენიმე ათეული წლის მანძილზე შეძლო წვრილი ვაჭრობის ფართოდ გაჩაღება არამცთუ შიგნით, არამედ გააფართოვა საქონლის პირდაპირი გაცვლის სისტემა განსაზღვრული ქვეყნების სხვადასხვა ბაზრებზეც ფართო ქსელის საშუალებით და ამით საბოლოოდ იხსნა თავი კულაკ მრეწველების შუამავლებისაგან, ეს წარმოადგენს იმის აშკარა საბუთს, რომ მეგრელები დაჯილდოებულები არიან ვაჭრული ნიჭით და კომერციული თავგზიანობით და სავსებით შეუძლიათ ისარგებლონ კუთხის

ზღვისპირა მდებარეობის უპირატესობით და სწორედ ასეთია თვით სამეგრელო. მან ხელში დაიჭირა მთელი თავისი შინაური ვაჭრობა და ამ მხრივ არ გამხდარა სომხებისა და ებრაელების ყვლეფის ობიექტი(უკანასკნელნი საკმაოდ არიან სამეგრელოში); სომხებმა და ებრაელებმა ხელთ იგდეს ამიერკავკასიის მთელი ვაჭრობა და თითქმის შეუძლებელი გახადეს გაეწიათ მათთვის კონკურენცია. მეგრელებმა ამ ხელსაყრელ შედეგს მიაღწიეს, სხვათა შორის, სოფლის ცხოვრების ერთი შესანიშნავი თავისებურებით, სახელდობრ ბაზრების არსებობის წყალობით. ვინაიდან ეს თავისებურება განსაკუთრებით კარგად ახასიათებს ძველი კოლხიდელების შთამომავალთ, რომლებსაც ჰქონდათ ნაწარმის გასაღებისა და გაცვლის უნარი, გავაცნობთ მის მკითხველს ბოროზდინის სიტყვებით. „საქართველოში, ამბობს ის, სოფლის კლასი ასაღებს მთელ თავის ნაწარმ პროდუქტებს სახლიდან გაუსვლელად, თითოეულ სოფელში დამკვირვებელი მედუქნეების, განსაკუთრებით სომხების საშუალებით, ან მოდიან მახლობელი ქალაქებიდან, თელავი, სიღნაღი, გორი, სომხების სავაჭრო ცენტრებია. სომხები ყიდულობენ მწარმოებელთაგან ადგილობრივ პროდუქტებს და გააქვთ თბილისის ან სხვა დიდი ბაზრებზე. ამგვარად ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან მკაცრად გამიჯნული ორი კლასი; ერთს- მოვაჭრე კლასს - შეუქმნია ძლიერი კორპორაცია და მთლიანად ხელში უჭირავს მეორე, - მწარმოებელთა კლასი. მაგრამ სამეგობროში ეს უხერხულობა, არახელსაყრელი სოფლის მწარმოებელი კლასისათვის, თავიდან აცილებულია ბაზრებით, რომლებიც იმართება კვირაობით და პარასკეობით ყოველ დიდ სოფელში, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ დაბებზე, როგორცაა: ზუგდიდი, სენაკი, ხონი, ნათლალევი, ლაილაში, სუჯუნა და ორპირი, სადაც გარდა ყოველკვირეული ბაზრობისა, წელიწადში რამდენიმეჯერ იმართება დიდი ბაზრობა. მეგრელ გლეხს ბაზარზე გააქვს ყველაფერი, რასაც კი ღირებულება აქვს, იქვე ყიდის ან ცვლის მისთვის საჭირო საქონელზე. ვაჭრები კი იგივე მეგრელებია. ამიტომ მათსა და მწარმოებლებს შორის არ არსებობს ანტაგონიზმი და მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ შექმნან ცალკე კასტა, კორპორაცია. მათ შორის გამოირჩევიან ებრაელები, რომლებიც უხსოვარი დროიდან, თითქმის ბაბილონის ტყვეობიდან დამკვიდრებულან ამ მხარეში; ისინი უმაგრესად აწარმოებენ აბრეშუმის შესყიდვასა და საზღვარგარეთ გატანას, მაგრამ ესენიც კი რადგან ძლიერ კონკურენციას უწევენ მეგრელი ვაჭრები, ვერასოდეს ვერ ახერხებენ დააწესონ თვითნებური ფასები. იქაურ მცხოვრებს ისე ღრმად სწამს საბაზრო ფასების სამართლიანობა და ისე მტკიცე იმედი აქვს ბაზარზე თავისი ნაწარმის გასაღების, რომ ძნელად თუ აიძულებს კაცი რაიმე გაყიდოს ადგილზე, თავისივე სოფელში; შინ სავაჭროდ მოსულს ის ეჭვის თვალითაც კი შეხედავს და შიშობს არ მოატყუონ. ეს ტომობრივი თავისებურება, ეს უნარი თავისი საქონლის გასაღებისა და გაცვლისა, თავდება ვაჭრობის წარმატებისა მომავალში, როცა განვითარდება სოფლის გლეხოზა და გაიზრდება ცხოვრების მოთხოვნილებანი. რაკი, შინაური ვაჭრობა განამტკიცეს, მეგრელებმა კომერციული საქმიანობა გადაიტანეს სამეგრელოს საზღვრებს იქით-იმერეთში, გურიაში, აფხაზეთში და ნაწილობრივ ქართლში და ეს კუთხეები მოჰვინეს თავისი დუქნებით. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მეგრელებს აფხაზებისათვის, ისინი იქ შუამავლის როლს ასრულებდნენ სავაჭრო საქმეებში. ჩვენი მოწინააღმდეგე ავტორი ცდილობს მიჩქმალოს მეგრელების ეს სავაჭრო მნიშვნელობა აფხაზეთისათვის იმაზე მითითებით, რომ სოხუმში არსებობს ორი-სამი მაღაზია, რომლებიც

ბერძნებსა და სომხებს ეკუთვნიან. მაგრამ ეს მაღაზიები საჭირო იყო სოხუმელი მოხელეებისათვის და მათს მოთხოვნებს ემსახურებოდნენ; ხოლო ამ მხარისათვის მათ არ შეეძლოთ და არც ჰქონდათ რაიმე მნიშვნელობა. ამ მაღაზიებს ისევ მეგრელები ამარაგებდნენ ჩამოტანილი ნაწარმით. მეგრელებს სოხუმში მთელი წყება დუქნები ჰქონდათ.

საერთოდ სავაჭრო საქმეში მეგრელები ამჟღავნებენ დიდ უნარს და გაბედულებას. „თავგზიანობა, - ამბობს ბოროზდინი - აგრეთვე შესანიშნავი თვისებაა მეგრელებისა: კახეთში ზვრის სანახევროდ აღება, შავიზღვის სანაპიროზე მედუქნეობა ან საბაჟოს ცხვირწინ კონტრაბანდის გატარება, ყველა ამ საქმიანობას უყოყმანოდ ხელს მოჰკიდებს ყოველი მეგრელი.

1860 წელს ქერჩში მუშები ესაჭიროებოდათ სიმაგრეების ასაგებად. ამას ყური მოჰკრა ერთმა მოიჯარადრე მეგრელმა, ძალიან მალე 300 მსურველი შეკრიბა და მათთან ერთად გემით გაემგზავრა ქერჩისაკენ.“ რომ სავსებით შევიგნოთ მეგრელების შესახებ ბოროზდინის ამ დახასიათების მთელი ძალა და მნიშვნელობა, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს დახასიათება ეკუთვნის იმ დროს, როცა სამეგრელო ჯერ კიდევ კვენსოდა ბატონყმური მონობის მძიმე უღელქვეშ, რომელიც აქ როგორც ჩვენ ვთქვით, გამოირჩეოდა უკიდურესი შეუბრალებლობით. ბოროზდინი იმედს გამოთქვამს, რომ მეგრელები საუკეთესო ბუნებრივ თვისებათა წყალობით ბატონყმობიდან განთავისუფლების შემდეგ მალე მოიშორებენ იმ ნაკლოვანებათ, რომლებიც მათში საუკუნეებრივმა მონობამ გამოამუშავა და რამდენიმე ათეულ წელში განივითარებენ თავიანთ ბუნებრივ საქებურ თვისებებს, რომლებიც ჩახშობილი იყო, მაგრამ არა მოსპობილი ხანგრძლივი უუფლებობის გამო და შეუდგებიან ცხოვრების განახლებას, ეს იმედი მართლდება.

არც ერთ ჩვენს ხალხს არ განუცდია ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ცხოვრების ისეთი გაუმჯობესება, როგორც მეგრელებს, მისი შრომისმოყვარეობა თითქმის გაორკვედა, ზნეობაც თვალსაჩინოდ უმჯობესდება. მომჭირნეობა და ვაჭრული თავგზიანობა იზრდება, ამას ნათლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ მიუხედავად სხვადასხვა გადასახადებით დამძიმებისა და სახნავი მიწების ნაკლებობისა, მეგრელებმა განთავისუფლების ათი წლის განმავლობაში უამრავი მიწა შეისყიდეს თავიანთ მემამულეთგან თავისი საკუთარი ფულით მთავრობის მხრივ სრულიად დაუხმარებლად.

ყოველივე ნათქვამის შემდეგ მკითხველებს ადვილად შეუძლიათ ღირსეულად შეაფასონ ჩვენი „მეგრელოფობის“ მეცნიერული აზრი, რომელიც ამტკიცებს, რომ მეგრელები დაბალ საფეხურზე მდგომ ტომს წარმოადგენსო, რომელიც მხოლოდ დამონებულის მდგომარეობაში გამოდგებაო, ამით ის აშკარად ამტკიცებს, რომ ყოფილ ლიბერალებთან ჩვენში შეიძლება თანამშრომლობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთ აღმაშფოთებელ შეხედულებათა მიხედვით გაცილებით უფრო დაბალ საფეხურზე დგანან, ვიდრე თუნდა თვითნებობისა და ახირებულობის ხანგრძლივ სკოლაში გაგულქვავებული ამერიკელი პლანტატორები, რომლებსაც კი აშკარად რცხვენიათ ასეთი აზრი გამოთქვან თვით ზანგების მიმართაც.

რად დასჭირდა მას ასეთი მკაცრი აზრის გამოთქმა? მეორე კიდევ უფრო ნაკლებ ჰუმანური აზრის გასატარებლად. მისი აზრით, აფხაზეთის კოლონიზაციის მიზანი, სხვათა შორის, უნდა იყოს ზნეობრივი დამონება და იძულებით გარუსება მეზობელი ტომებისა, ე. ი. სამურზაყანოელებისა და მეგრელების. არ არის ძნელი მისახვედრი, თუ როგორ დამონებასა და იძულებაზეა აქ ლაპარაკი. პოლიტიკური თვალსაზრისით მეგრელები ისეთივე რუსებია, როგორც მოსკოველები და ამ მიმართულებით მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ იმ ტომებზე, რომლებთანაც მათ ურთიერთობა უხდებათ და რომლის საოცარ საბუთს წარმოადგენს ჩვენი ოპონენტის მიერაც აღიარებული ფაქტი, რომ მეგრელების გავლენის წყალობით სამურზაყანოელები - აფხაზური მოდგმის შტო, - რომლებიც მეგრელებთან მუდმივ ურთიერთობაში არიან, სავსებით ერთგული ქვეშევრდომნი გახდნენ რუსეთისა და თავის თვისტომთა არა ერთი აჯანყების დროს ყოველი ღონით უწყობდნენ მთავრობას ხელს არეულობის ჩახშობასა და აჯანყებულთა დაწყნარებაში. მაშასადამე, ის ლაპარაკობს, ასე ვთქვათ, ეთნოგრაფიული დამონების შესახებ, ხალხის იძულებით გაუპიროვნების შესახებ, ე. ი. ატარებს იმ აზრს, რომლის განხორციელება ყველგან და ყოველთვის იწვევდა სრული პოლიტიკური მთლიანობის შექმნის საწინააღმდეგო შედეგს. მაგრამ ხომ მართალია, რომ ეს მდაბალი წმინდა თურქული აზრი დამონების, იძულებისა გაუპიროვნების შესახებ არაჩვეულებრივ კარგად ეხამება ახლანდელ გრანდიოზულ ამბებს, როცა რუსეთის ხალხმა მახვილი აღმართა და თავის სისხლსა ღვრის ჩაგრული და დამონებული ერების გასანთავისუფლებლად.

წინააღმდეგია რა აფხაზეთში მეგრელების დასახლებისა, ჩემი მოწინააღმდეგე ცდილობს გაატაროს ის აზრი, რომ ეს კუთხე ურისკოდ შეიძლება დასახლებულ იქნას სხვა ტომის ხალხით, თუნდაც ცხოვრობდეს ბუნების სხვა პირობებში და მისი ორგანიზმი შეგუებული არ იყოს ჭაობიან ადგილს. ამ შესაძლებლობას ის ამყარებს აფხაზეთში ჰავის ვითომდა გაუმჯობესებაზე. ის ამბობს, რომ აფხაზეთის სანაპიროები წინათ მართლა წარმოადგენდნენ ავთვისებიანი ციების ბუდეს და საშინელ დაავადებას იწვევდნენო. მაგრამ ამტკიცებს, თითქოს უკანასკნელ ხანებში ვითომ ამ კუთხემ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებანი, რამაც შეამცირა მისი ჰავის შხამიანობა, მაგრამ ეს მოსაზრება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, აფხაზეთში არამცთუ საერთოდ ჰავის არავითარ გაუმჯობესებას არ ქონია ადგილი, არამედ არც შეიძლებოდა ეს მომდარიყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ავთვისებიანი ატმოსფეროს წარმომშობი მიზეზები ძველებურად ისევ ძალაშია, ჭაობები წინანდებურად მრავალრიცხოვანია, ტყეები, რომლებსაც უჭირავს ამ კუთხის 2/3, თითქმის ისევ ხელუხლებელია, თუ მიზეზები არ შეიცვალა, არც შედეგები შეიცვლება, ეს დღესავით ნათელია. მიუხედავად იმისა, ავტორს სურს ჩვენი კერძო დებულებების უარყოფა, მივყვეთ მას.

როცა ჩვენ ვლაპარაკობდით კონტინენტალური ქართველებით აფხაზეთის დასახლების უკიდურესი საშიშროების შესახებ, ჩვენ მოვიყვანეთ აფხაზეთის აღმოსავლეთ სანაპიროების ჭაობის შხამით 80 სვანი მილიციონერის რაღაც ორიოდ წლის მანძილზე დაღუპვის შესახებ, ჩვენმა ოპონენტმა გამოთქვა ეჭვი ამ ფაქტის სამართლიანობის შესახებ, იმ

მიზეზით, რომ მას აფხაზეთში არ გაუგონია მსგავსი რამ. მაგრამ ჩვენ არამცთუ გავიგონეთ სოხუმში ამ სამწუხარო მოვლენის შესახებ, არამედ მისი დადასტურება ვიპოვეთ ბ.ბაქრადის სტატიაში. ავტორმა ამის შესახებ გაიგო სვანეთში მოგზაურობის დროს. გამოდის, რომ ფაქტის ჭეშმარიტებაში არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ. გვრჩება ავხსნათ იგი. ჩვენი ავტორი(ბ.ბაქრადე)ა მას ხსნის სვანეთისა და აფხაზეთის ტემპერატურათა შორის დიდი სხვაობით, რომ აფხაზეთსა და სვანეთს შორის განსხვავებულ ტემპერატურას სვანები სავსებით თავისუფლად იტანენ, ისე, რომ მილიციონერების დაღუპვა არ შეიძლება მივაწეროთ ტემპერატურას, არამედ უნდა მივაკუთვნოთ აფხაზეთის ჰავის ავთვისებიანობასა და მომწამვლელობას, როცა ჩვენ ვამტკიცებდით, რომ აფხაზეთის დასახლება რუსებით ძნელია, ჩვენ ვთქვით: „გამოცდილებამ უკვე დაამტკიცა, რომ აფხაზეთში დასახლებული რუსი ოჯახები გახდნენ მისი ჰავის მსხვერპლნი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი სახლობდნენ სოხუმსა და ჰავის მხრივ შედარებით უკეთეს სხვა ადგილებში. ჩვენ თვითონ ვიყავით მოწმე სოხუმიდან რამდენიმე რუსი ოჯახის რუსეთში დაბრუნებისა, რომელთა რიცხვი მოკლე ხანში მნიშვნელოვნად შემცირდა და მატერიალურად განადგურდა აფხაზეთში ყოფნის დროს, მუდმივი ავადმყოფობისა და უკან გადასახლების გამო. ხოლო ის ოჯახები, რომლებიც მათგან დამოუკიდებელი მიზეზებისა და გარემოებების გამო მოკლებულნი იყვნენ რუსეთში დაბრუნების საშუალებას, წყევლიდნენ თავის ბედს, რომელმაც ისინი გამოაგდო ამ კუთხეში. ჩემი მოწინააღმდეგე ნებას აძლევს თავის თავს უცერემონიოდ უწოდოს ამ სიტყვებს ფანტაზიის ნაყოფი. ეს მოურიდელობა შედეგია იმისა, რომ ჩვენს სტატიაში მოყვანილ ცნობებს ის თვლის სხვისგან გაგონილად, მაგრამ სასტიკად ცდება, ჩვენს სტატიაში ერთი დებულებაც არ არის, რომელიც უშუალო დაკვირვებათა ნაყოფი არ იყოს. ეს დაკვირვებები ჩვენ ვაწარმოეთ რამდენიმე წლის წინათ, სოხუმში ყოფნის დროს. ყველა უბრალო რუსი ოჯახი, ვისთანაც გქონია მსჯელობა მათი მდგომარეობის შესახებ, უჩიოდნენ მუდმივ, სიცოცხლის ჩამამწარებულ ავადმყოფობას, ქინაქინისთვის საჭირო გამანადგურებელ ხარჯებს, რაც არამრავალრიცხოვან ოჯახებშიც წელიწადში 100 მანეთს აღწევდა, ხშირ სიკვდილიანობას, განსაკუთრებით ბავშვთა შორის და გამოქვამდნენ აზრს, რომ რუსეთში ღარიბად ცხოვრება სჯობია აქაურ შეძლებულობას, რომლის მოპოვებაც საკმაოდ ძნელია ხშირი ავადმყოფობის გამო. განსაცვიფრებელი და გაუგებარია, რომ მოკამათე, რომელსაც, მისი სიტყვით, დიდხანს უცხოვრია სოხუმში და სრულ შესაძლებლობა ჰქონია თვალნათლივ დარწმუნებულიყო რუსების ორგანიზმზე ამ ჰავის გავლენაში, უარყოფს ამას... ამას ადვილად დაიჯერებს ყველა, ვინც მსჯელობაში მიიღებს, რომ თვით რუსეთის და აფხაზეთის კლიმატურ პირობებში შეუდარებლად მეტი განსხვავებაა, ვიდრე ამ მხარესა და ამიერკავკასიის სხვა ნაწილებს შორის. ციებით რუსების ძლიერი დაავადების ბევრი მაგალითიდან ჩვენ მოვიყვანთ ორ რელიეფურ მაგალითს: 1874 წლის ზამთრის ერთ-ერთ თვეში (დაიხსომეთ ზამთრის, როცა სოხუმის ჰავის ციებ-ცხელებიანობა მინიმალურია) მთელი ხალხის თვალწინ, რომელიც სელტერის წყლის დასაღვეად შეკრებილიყო, სასიკვდილო დამბლა დაეცა მექარხნის რუს ნოქარს, რომელიც მხოლოდ ორი წლის წინათ ჩამოსულა რუსეთიდან. „აი, ეს წყეული ციება!“ - წამოიძახა ექიმმა ბ., როცა დაინახა მნასავით წაქცეული ყმაწვილი. სოხუმში ახალ ჩამოსული სტუმრების შეკითხვაზე: „ნუთუ არ

შიძლებოდა ამ საცოდავის განკურნება ციებისგანო“, - ექიმმა მიუგო, რომ ციება ღრმად იჭრება შეუჩვეველი ადამიანის ორგანიზმში და ძლიერ ძნელია მისი ორგანიზმიდან გამოდევნა. აი ეს ნოქარი, განაგრძო მან, - რომელსაც ახლა მესამეჯერ და უკანასკნელად დაეცა დამბლა ამ საშინელი ციებისაგან, გულმოდგინედ ექიმობდა, მაგრამ მაინც ვერ ახსნა თაჯი ციებით სიკვდილისაგან“. მეორე მაგალითით იმავე წელს ერთ-ერთი სოხუმელი ექიმის მეუღლე, მიუხედავად მისი მაგარი აგებულებისა და ჯანმრთელობისა და დიდი სიფრთხილისა, რაც გასაგებია ექიმის ცოლის მხრივ, ჩამოსვლის შემდეგ მოკლე ხანში, ისე საშინლად დაავადდა ჭიებით, რომ ქმარმა მეუღლის სიკვდილისაგან გადასარჩენად, მიატოვი სოხუმი და მოათავსა ის სამკურნალოდ თბილისის ქალაქის მთავარ საავადმყოფოში. საავადმყოფოს ექიმებმა ყოველგვარი ღონე იხმარეს, რომ გადაერჩინათ თავიანთი თანამოძმის მეუღლე ჭაობის შხმისა და სიკვდილისაგან და ოცდაათ-ოცდაათ უნცია ქინაქინას აძლევდნენ დღეში სამჯერ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით დახსნეს თუ არა ეს ტანჯული სიკვდილის ბრწყალებისაგან. თუ ასეთი ძლიერი და დამლუპველია ციების შხამი სოხუმში, რომლის გარშემო უკანასკნელ ხანებში ტყეები სრულად გადასწევს და გასჩეხეს, სადაც წინანდელი ჭაობების ადგილას გზატკეცილია გაყვანილი და სადაც მთავრობამ ისეთ ენერგიულ ზომებს მიმართა ჰაერის გასაუმჯობესებლად, რომელსაც ადამიანს თავის გადარჩენის ინსტიქტი უკარნახებს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა ავთვისებიანი იქნება ჰაერი აფხაზეთის სხვა ადგილებში და რა საშიშროება მოელოს აქ გადმოსახლებულ რუს გლეხობას.

ჩემმა მოწინააღმდეგემ, რაკი სურდა დაემტკიცებინა, რომ საშიშროება არც ისე დიდია, წამოაყენა ზოგიერთი მოსაზრება, რომლითაც ის ფიქრობს გაამაგროს თავისი აზრი, აფხაზეთში ჰავა გაუმჯობესდა. პირველი მისი საბუთი ისაა, რომ ექიმები ახლა სოხუმს თვლიან ისეთ ადგილად, რომელიც მეტად სასარგებლოა ჭლექიანებისათვის. ზოგიერთი ექიმი რომ სოხუმში აგზავნის ჭლექიანებს გამოსაჯანსაღებლად, ეს მართლაც ფაქტია, ეს ჩვენც შევნიშნეთ სოხუმში, მაგრამ რას ამტკიცებს ეს? არაფერს, გარდა იმისა, რომ არიან ექიმები, რომლებიც წმინდა სუბიექტური მოსაზრებით სოხუმის ჰავას ჭლექიანებისათვის სასარგებლოდ თვლიან მაგრამ ამ წმინდა სუბიექტურ შეხედულებას, ყოველშემთხვევაში ჯერჯერობით მაინც არავითარი ობიექტური საფუძველი არა აქვს.

საკითხს სოხუმის ჰავის სამკურნალო თვისებების შესახებ ბევრი ექიმი უარყოფითად სწყვეტს. ასე, მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ სოხუმის ერთ-ერთი გამოცდილი ექიმი დაწვრილებით და დამაჯერებლად ამტკიცებდა სოხუმის ჰავის მავნებლობას ფილტვებით დაავადებულთათვის. ჩვენ პირადად მოგვისმენია სოხუმში ერთი განათლებული და გამოცდილი ექიმის, იქაური კარანტინის დირექტორის მოსაზრება ამ საგანზე. მოსკოვის უნივერსიტეტის კანდიდატი, რომელსაც ფილტვები ჰქონდა დაზიანებული, გამოგზავნეს თბილისიდან სოხუმში საზამთროდ. ის ცოტა უკეთ გრძნობდა თავს და ამბობდა, რომ „სოხუმის ჰავა მართლაც სასარგებლო უნდა იყოს ფილტვებით დაავადებულთათვისო“, „მე კი - უპასუხა კარანტინის დირექტორმა - სულ სხვანაირად მაქვს წარმოდგენილი საქმე: თქვენ შიძლება უკეთ გახდით. მაგრამ არა სოხუმის ჰავის წყალობით, არამედ მიუხედავად მისი მავნე თვისებებისა, - „ეს როგორ?“ - „მალიან უბრალოდ: თქვენ რომ თბილისში ყოველგვარი

საქმე გვერდზე გადაგედოთ და ყოველთვის გესეირნათ, თავი გაგერთოთ გაზეთების კითხვით, ბილიარდის თამაში და სხვანაირი გასართობებით, რითაც თქვენ აქ თავს იქცევთ, ერთი სიტყვით, რომ გეცხოვრათ თბილისში ასევე თქვენი სურვილისამებრ, როგორც აქ ცხოვრობთ, ვფიქრობ, რომ იქ გაცილებით უკეთესად გახდებოდით“.

სოხუმში ჩემი ყოფნის დროს ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: ერთი მაიორის ცოლი სერიოზულად გახდა ავად ფილტვებით, ორი ექიმიდან, რომელიც მას ექიმობდა, ერთი დაჟინებთ ურჩევდა ქმარს უსათუოდ გაეყვანა სოხუმიდან, ვინაიდან ავადმყოფისათვის საზიანოდ მიაჩნდა იქაური ჰავა. ჩვენ თვალწინ ერთ ახალგაზრდა ყმაწვილს, რომელიც გამოგზავნილი იყო თბილისიდან სოხუმში ჭლექის სამკურნალოდ, უცბათ განუვითარდა წყალმანკო და სოხუმში ჩამოსვლის ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა, თუმცა იქ რომ ჩამოვიდა, არც ისე ძლიერი ჭლექი ჰქონდა. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ სოხუმის ჰაერის სარგებლიანობა ჭლექიანებისთვის მეტად საეჭვოა. ეს ეჭვი კიდევაც რომ გაფანტულიყო, ესეც დაამტკიცებდა სოხუმის არა მხამის სისუსტეს, არამედ ექიმ ბოკისა და სხვა ექიმების აზრის სიმართლეს, რომლის მიხედვით ჭლექი სპობს ადამიანში ბევრი დაავადების ათვისების უნარს და, მაშასადამე, შეუძლია მოსპოს მისი ციებით დაავადების შესაძლებლობას, გარდა ამისა, სოხუმის თავის მარგებლობა ჭლექით დაავადებულთათვის მაშინ იქნებოდა ჩვენი საწინააღმდეგო და ოპონენტის სასარგებლო საბუთი, რომ ჩვენ გაგველაშქრა ჭლექიანებით აფხაზეთის დასახლების წინააღმდეგ, ხოლო მოკამათე თავდადებით იბრძოდეს მთელი ამ კუთხის ჭლექიანების განკარგულებაში გადაცემისათვის. მაგრამ როგორც ჩვენ, ისე, ვფიქრობთ, ისიც, შორს ვართ საკითხის ასეთი უცნაური დაყენებისაგან. და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნდა გვახსოვდეს, რომ ამომშრალი და გადახალისებელი სოხუმი აფხაზეთი არ არის, რომ ზამთარი, რომლის პერიოდშიც იგზავნებიან მხოლოდ ავადმყოფები სოხუმში, შეადგენს წლის მარტო მეოთხედ ნაწილს და რომ სოხუმის ჰავა ჭლექიანებისათვის წლის დანარჩენი 3/4-ის განმავლობაში ყველას საზიანოდ მიაჩნია. აფხაზეთის დასახლების შესახებ საკითხის გადაჭრისას დიდი უაზრობა იქნებოდა გვეხელმძღვანელებინა ზამთრის ხასიათით და მხედველობაში არ მიგველო წლის დანარჩენი დრო, აფხაზეთის ჰავის ავთვისებიანობის შესუსტების შესახებ თავისი შეხედულების დასაცავად ავტორი მეორე საბუთად თვლის უკანასკნელ წლებში სოხუმში მყოფ სამხედრო ნაწილთა შორის დაავადების შემცირებას, მაგრამ, ჯერ ერთი, მის მიერ მოყვანილი რიცხობრივი მონაცემებიდან ჩანს, რომ ჯარისკაცებს შორის დაავადება მაინც დიდი იყო და, მეორე, რაც ყველაზე მთავარია, ეს რიცხობრივი მონაცემები ადასტურებენ წინანდელი საშინელი დაავადების შესუსტებას მხოლოდ სოხუმში, რაც სრულიად გასაგები და ბუნებრივია ამ ზღვისპირა ქალაქისა და მისი მიდამოების სანიტარული მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესების შემდეგ. მაგრამ ეს სრულიად არ მოწმობს მთელი კუთხის ჰაერის გაუმჯობესებას, რაც არც შეიძლებოდა მომხდარიყო, ვინაიდან აქაური ჰავის არაჯანსაღობის გამომწვევი მიზეზები კვლავაც ისევ ძალაში რჩება. ასევე უსაფუძემლოა ჩვენი ავტორის აზრი დასავლეთ აფხაზეთის ნაკლებ ავთვისებიანობის შესახებ, რომელიც მთლიანად მიატოვეს მაცხოვრებლებმა და საჭიროებს დასახლებას. ამ აზრს ის აფუძნებს აფხაზეთის ამ ნაწილის მთაგორიანობაზე, მაგრამ

ბიჭვინთის ოლქში, - ასე ეწოდება აფხაზეთის დასავლეთ ნახევარს ადმინისტრაციულად, - მთებისა და გორაკების მდებარეობა, არამც თუ ხელს უშლის, არამედ პირიქით, ხელს უწყობს ჭაობების გაჩენას; ნალექები აქ მეტია, ვიდრე აღმოსავლეთ ნახევარში - ოჩამჩირის ოლქში, ვინაიდან მთის ფერდობები და კავკასიის მთავარი უღელტეხილი, შავ ზღვასთან დიდი სიახლოვის გამო, იზიდავენ ღრუბლების დიდ რაოდენობას, რომლებიც უხვი წვიმის სახით ევლინება კუთხეს.

დაბოლოს ტყის მდიდარი საფარი იქ ჯერ კიდევ ასე ვთქვათ, ხელუხლებელია, ამიტომ ბიჭვინთის ოლქი სინესტის მხრივ ბევრად არ ჩამოუვარდება ოჩამჩირისას. ამის გამო შეუძლებელია იქაური ჰავის ნაკლებ ავთვისებიანობაზე ლაპარაკი, თუ არ გვსურს ვამტკიცოთ აშკარა სიცრუე. ჩვენი აზრი დასტურდება შემდეგი ფაქტებითაც: 1) აფხაზეთში ცოტა როდია მაღლობები, რომლებიც ჰაერის ავთვისებიანობით აჭარბებენ დაბლობ ადგილებს. ამ მაღლობებზე დაბანაკებულ ჯარებს ისე მოერია ავადმყოფობა, რომ იქ ვეღარ გაჩერდნენ მოსპობის შიშით და გადაყვანილ იქნენ სხვა, უფრო დაბლობ ადგილებში. ამ უცნაურ მოვლენას ხსნიან მით, რომ ეს მაღლობები მდებარეობენ ქარების მიმართულებით, რომლებიც ქრიან ჭაობებიდან და თან მოაქვთ ციების სენი, ეს ისეა თუ სხვაგვარად, ძნელი გადასაწყვეტია, მაგრამ ჩვენ მიერ დადგენილი ფაქტი თვითნ არავითარ ეჭვს არ იწვევს; 2) ქალაქი სოხუმი, რომელიც მდებარეობს აფხაზეთის მთიან ნაწილში, ახლაც კი, მთლიანად ამომშრობის შემდეგ არანაკლებ ციებიანია, ვიდრე დაბა ოჩამჩირე, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთის დაბლობ ნაწილში; 3) წებელდასა და ფსოუში, რომლებსაც აფხაზეთში მაღლობი უჭირავთ და რომელთაც ზღვის სანაპიროებისაგან მთების ქედები ჰყოფს, ჰავა ჯანსაღი ეგონათ, მაგრამ რა აღმოჩნდა? იქ ჩასახლებული, სამსახურთან გამოსული ჯარისკაცები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიჩვეულნი იყვნენ სხვადასხვა კლიმატურ თავისებურებებს, მძიმედ ავად გახდნენ, ჩვენი ოპონენტის აზრით, არც თუ ნამეტნავად, ხოლო ფსოუში დასახლებულ ტრაპიზონელ ბერძენთა კოლონია უმეტესწილად ამოწყდა. ამ უკანასკნელ ფაქტს ჩვენი ავტორიც არ მალავს, თუმცა ცდილობს ის დააბრალოს კოლონიზაციის ადგილის დაბალ ტემპერატურას.

ზემონათქვამის გამო ჩვენ მეტად მოუფიქრებლად მიგვაჩნია ავტორის მოსაზრება აფხაზეთის დასახლების შესახებ არა მეგრელებით, არამედ რუსეთის სამხრეთ და შუა გუბერნიების მცხოვრებლებით. ამ გუბერნიებს, რომლებიც ყოველმხრივ მკვეთრად განსხვავდებიან აფხაზეთისაგან, განსაკუთრებით კი კლიმატურად, არ შეუძლიათ მოგცენ ვარგისი კოლონიზატორები შავიზღვისპირა არაჯანსაღი ადგილებისათვის, ამ გუბერნიების მცხოვრებლები, თავის მშობლიურ მიწას მოწყვეტილნი და მათთვის სრულიად უცხო, ავთვისებიანი ჰავის მქონე მხარეში გადმოსახლებულნი, განწირული იქნებიან ავადმყოფობისა და სიკვდილისათვის. გარდა ჰავისა, ამ სამწუხარო შედეგს აუცილებლად გამოიწვევს სხვა ადგილობრივი პირობებიც. ასე, მაგალითად, რუს კოლონიზატორებს ხელი უნდა აეღოთ თავის მშობლიურ საუკუნოებრივ საჭმელზე და ეხმარათ სხვა, ვინაიდან რუსი ადამიანის საზრდო ჭკავი არ ხარობს აფხაზეთში, ვერც ხორბალი ხარობს აქ კარგად ჰავის გადაჭარბებული სინესტის გამო. ამიტომ კოლონიზატორებს ძალაუწებურად მოუხდებოდათ

ხორბლის პურის მაგიერ სიმინდის ან ღომს ჭამა, ხოლო საჭმლის ასეთმა ერთბაშმა გამოცვლამ არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს კოლონისტების ჯანმრთელობაზე.

ცხადია, გამოვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ეს გაუბედურებული ოჯახები შეიძლება ადვილად დაითანხმო აფხაზეთში გადასახლებაზე, მით უმეტეს თუ მათ დავუხატავ აფხაზეთის მიწებსა და ბუნებრივი სიმდიდრეების მომხიბვლელ სურათს, მაგრამ სრულებით შეუძლებელია ავაცდინოთ მათ საყოველთაო განადგურები ჭაობის შხამით, რომელიც აუცილებლად იმოქმედებს მათ მიუჩვეველ ორგანიზმზე და კოლონიზაციის ადგილი მათთვის გადაიქცევა საერთო სამარედ.

ავტორის აზრს სამხრეთ რუსეთის გუბერნიების მცხოვრებლებით აფხაზეთის დასახლების შესახებ ჩვენ არამც თუ მოუფიქრებლად ვთვლით, არამედ მეტად არასერიოზულადაც. სერიოზული ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, რომ სამხრეთ რუსეთის მხარეს ჭარბი მოსახლეობა ჰყავდეს და შეეძლოს 50 ათასი საჭირო კოლონიზატორის უმტკივნეულოდ მოცემა,

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს მხარე განიცდის მოსახლეობის ნაკლებობას, ვიდრე სიჭარბეს და სიმჭიდროვეს. მოსახლეობის ამ სიმცირით აიხსნება ის ფაქტი, რომ დიდი სივრცე კავკასიაში, რომელიც გამოირჩევა ჰავის სისალითა და ბუნების სიმდიდრით, დღემდე უკაცურია და მოუთმენლად ელის კოლონიზაციას. თვითონ შავი ზღვის ოლქი, რომელიც აფხაზეთს ეკვრის, დიდიხანია საჭიროებს რუს კოლონიზატორებს, მაგრამ ისინი არ ჩანან, ვინაიდან საყვარელ სამშობლოში რუსები ჯერჯერობით სივიწროვეს არ განიცდიან. თუ, ამგვარად ჰავის მხრივ აფხაზეთზე ნაკლებ საშიში და მასზე არანაკლებ ნაყოფიერი ადგილები ვერ იზიდავენ კოლონისტებს, როგორ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ აფხაზეთში დასახლდებიან რუსი დამსახლებლები, რომლებსაც ესმით, ან ვალდებულნი არიან ესმოდეთ მისი კლიმატური და სხვა პირობების საშიშროება.

თუ სამხრეთ გუბერნიის შემდეგ გავითვალისწინებთ სამეგრელოს მოსახლეობის სიმჭიდროვეს, დავინახავთ დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოვლენას: მცხოვრებთა რიცხვისა და სახნავი მიწების რაოდენობის შეუსაბამობა ისე დიდია, რომ გლეხის სრული ნაკვეთი მიწისა შეადგენს აქ ოთხ ქცევას, ანუ დაახლოებით ერთნახევარ დესეტინას, მიწის ასეთი მწვავე ნაკლებობა იყო ერთადერთი მიზეზი სამეგრელოში ახლახან მომხდარი აგრარული მღელვარებისა. ამიტომ სამეგრელოს ძალიან იოლად შეუძლია მოგვცეს დასასახლებელთა საკმაო კონტინგენტი.

რამდენიმე ათეული ათასი მეგრელის გადმოსახლება იხსნიდა ამ მხარეს არანორმალური მდგომარეობიდან და მოსპობდა მსგავსი სამწუხარო ამბების განმეორების შესაძლებლობას, ამ მოსაზრებით აფხაზეთის მეგრელებით დასახლების საქმეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. როცა ილაშქრებს ამ ერთადერთი გონივრული გადაჭრის წინააღმდეგ და გვთავაზობს სხვა მოსაზრებას, ჩემს მოწინააღმდეგეს უნდა ესმოდეს მისი სრული განუხორციელებლობა, ვინაიდან არ შეიძლება მას არ ცოდნოდა ყოველივე ის,

რაც ჩვენ ვთქვით, განსაკუთრებით თავისუფალი ჭარბი რუსი მოსახლეობის შესახებ. მაშ, რისთვის გვთავაზობს იგი ისეთ ღონისძიებას, რომლის განუხორციელებლობა მისთვის ცხადია? რისთვის უტყვს იგი სახელს ერთადერთ ტომს, რომელსაც შეუძლია აფხაზეთში წარმატებით ჩასახლება?

აქ იმალება განსაკუთრებული სახის განზრახვა. მეგრელებით აფხაზეთის დასახლება უხერხულია და არახელსაყრელი, რუსებით კი თურმე შეუძლებელია, მაშინ საჭიროა აფხაზეთის მიწები სოხუმის მოხელეებს დაურიგდეთ იმ დაულალავი კეთილსინდისიერი შრომისათვის, რომელმაც ასეთი მშვენიერი ნაყოფი გამოიღო.

განსაკუთრებით საჭიროა კარგი პირობები შეექმნათ ამათგან ისეთებს, რომლებიც 12 წლის განმავლობაში თავდადებით იღწვოდნენ სამსახურში - წელიწადში ორ კვირას სამსახურის საქმეებს ანდომებდნენ, ხოლო დანარჩენ დროს ზღვის პირად სეირნობას, სოხუმის ქუჩების ტკეპნას, ბანქოსა და ბილიარდის თამაშს და სხვა „სასარგებლო“ სახელმწიფოებრივ საქმეს.

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამჯერად მაინც ეს ბედი აგვცდება, ვინაიდან მოხელეებისათვის მიწის დიდი ნაკვეთების დარიგების მწარე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბიუროკრატის ასეთი გაბედნიერება ვნებს როგორც ხალხის, ისე სახელმწიფოებრივ ინტერესებს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც აფხაზეთის მიწები ნელ-ნელა ისევ მეგრელი გლეხების ხელში გადავიდოდა, მაგრამ მხოლოდ მძიმე და მატერიალურად გამანადგურებელი შესყიდვის ფასად, და ესეც სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ, რადგანაც სახელმწიფო მით უფრო ძლიერი და მტკიცეა, რამდენად მაღალ დონეზე დგას მასში შემავალი ხალხების კეთილდღეობა და, პირიქით.

ამგვარად, ყველაფერს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ გონივრული და მიზანშეწონილი საშუალება აფხაზეთის წარმატებით დასახლებისა მდგომარეობს ჩვენ მიერ წამოყენებული მოსაზრების განხორციელებაში, ე.ი. ცოტა მიწა-წყლის პატრონ და სრულიად უმიწაწყლო მეგრელ გლეხს უნდა მიეცეთ უფლებ დაიკავონ აფხაზეთის მიერ მიტოვებული ტერიტორია. საკითხის ასეთი გადაჭრა ყოველმხრივ ხელსაყრელია და არ ბადებს არავითარ უხერხულობას. ეს გარკვეულად აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რომლებსაც მოითხოვს ჩემი მოწინააღმდეგე აფხაზეთის მომავალი კოლონიზატორებისაგან, გარდა ერთისა, სრულიად უაზრო ეთნოგრაფიული დამონებისა. რაკი მათი ორგანიზმი შეგუებულია აფხაზეთის ჰავას და ყველა მის თავისებურებას, მეგრელები დაზღვეულნი არიან მუდმივი ავადმყოფობისა და იქაური ჭაობის შხამისაგან მოსპობის მწარე ხვედრისაგან. რაკი საწარმოო შრომისა და სავაჭრო საქმის უნარი აქვთ, ისინი შეძლებენ სავსებით გამოიყენონ აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრენი და მისი ზღვისპირა ხელსაყრელობით. მათ, აგრეთვე, განსაცვიფრებელი ათვისების უნარი ახასიათებთ, რაც შესაძლებლობას აძლევს მეგრელ გლეხებს მოკლე ხანში საუკეთესო მეზღვაურები გახდნენ შავი ზღვის გემებზე, საუკეთესო მემანქანეები ფოთი-თბილისის რკინიგზაზე და გასაოცარი სისწრაფით შეისწავლონ იქ უცხო ენები. მეგრელებს სხვა ხალხზე უფრო ადვილად შეუძლიათ გადმოიღონ ყოველივე კარგი შავი ზღვის და

ყუბანის ოლქების რუსი კოლონიზატორებისაგან და, მათთან დაახლოების შემდეგ, თავის მხრივაც მოახდინონ მათზე სასარგებლო ზეგავლენა. ისინი არიან გაბედულნი და მამაცნი, თავდადებულნი ჩვენი სამშობლო - რუსეთისათვის, რაც მეგრელებმა, სხვათა შორის, ბრწყინვალედ დაამტკიცეს ახლანდელ ომში მით, რომ მამაცურად იბრძოდნენ რაიონის რაზმში მილიციელთა მეთაურობით. ისინი შეძლებენ ძნელად დასაძლევ ზღუდედ გადაქცევას მტრის შემოსევის დროს, რაც, თუმცა შეუძლებელი უნდა გახდეს თურქეთის ახლანდელი დარბევისა და ახლო მომავალში შავი ზღვის ფლოტის შექმნის შემდეგ.

წარმოადგენენ რა ყველა მხრივ აფხაზეთის საუკეთესო კოლონიზატორებს, მეგრელები ამავე დროს ისტორიული უფლების თვალსაზრისითაც უფრო კანონიერი მემკვიდრენი არიან გასახლებული აფხაზებისა. ცნობილია, წინათ, არც ისე შორეულ წარსულში, აფხაზეთის აღმოსავლეთის ნაწილი მეგრელებს ეჭირათ და სასაზღვრო მდინარე არა ენგური, არამედ კოდორი იყო. მაგრამ თურქების მიერ სტამბოლის აღების და ოსმალეთის შავზღვაზე გაძლიერების შემდეგ, აფხაზებმა თურქების მხარდაჭერით განდევნეს მეგრელები ენგურს გადაღმა და დაიკავეს მაშინდელი სამეგრელოს ტერიტორიის ნაწილი. თუ თურქეთის გაძლიერებას მოჰყვა მეგრელების ადგილ-მამულის ხელში ჩაგდება და მეგრელი ხალხის შევიწროება, სამაგიეროდ თურქეთის დარბევასა და შესუსტებას უნდა მოჰყვეს წართმეულის დაბრუნება და რუსეთის ერთმოწმუნე და ერთგულ ხალხზე მისი გადაცემა. ამგვარად, აფხაზეთის დასახლება მეგრელებით აგრეთვე წარმოადგენს ისტორიული სამართლიანობის აქტს.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ფიქრია სარალიძემ.

6 აპრილი, 2020 წელი, #დარჩისახლში